

## საკრედიტო ბარათის პირობები

**შინაარსი**

შესავალი .....	3
ტერმინთა განმარტებები .....	3
კლიენტის განცხადებები .....	4
საკრედიტო ლიმიტი .....	4
პროცენტის და სხვა გადასახდელების დარიცხვა .....	5
საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა .....	5
ვადაგადაცილება და სანქციები .....	5
ნებადართული ოპერაციები .....	6
საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი .....	6
საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები .....	7
საკრედიტო ლიმიტის ვალუტა .....	7
პასუხისმგებლობა .....	7
ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ .....	7
თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა .....	7
დამატებითი ბარათები .....	7
ავტორიზაცია .....	8
შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები .....	8
შეტყობინების ვალდებულება .....	8
კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია .....	8
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა .....	9
დასკვნითი დებულებები .....	9
საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები .....	10

**I. შესავალი**

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკრედიტო ბარათით მომსახურების პირობებს (შემდგომში - **პირობები**).
- 1.2. **ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში ხელშეკრულება), რომელიც შედგება:
  - 1.2.1. **კლიენტის** მიერ შევსებული და **მხარეების** მიერ ხელმოწერილი **განაცხადისაგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - 1.2.2. **მხარეთა** შორის გაფორმებული **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისაგან;
  - 1.2.3. წინამდებარე **პირობებისაგან**;
  - 1.2.4. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის **ბანკში** დადგენილი ტარიფებისაგან, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;
  - 1.2.5. **ბანკში** არსებული **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისაგან**.
- 1.3. წინამდებარე **პირობების** საგანს წარმოადგენს:
  - 1.3.1. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული დებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად **კლიენტისათვის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე **საკრედიტო ლიმიტის** დაშვება;
  - 1.3.2. **კლიენტის** მიერ მისი **საკრედიტო ლიმიტით** სარგებლობის წესების განსაზღვრა; და
  - 1.3.3. **მხარეთა** მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების წესის განსაზღვრა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტის**, მასზე დარიცხული **პროცენტის**, საკომისიოს, **გადახარჯული თანხის** და წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დავალიანების გადახდის წესების განსაზღვრას.
- 1.4. **კლიენტი** ვალდებულია წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისათვის ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს** და სრულად შეასრულოს ისინი. **კლიენტი** ასევე პასუხისმგებელია დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხსენებული **პირობების** განცხადება და მათ სრულად შესრულებაზე.
- 1.5. **საკრედიტო ბარათის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერით **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
  - 1.5.1. **საკრედიტო ბარათის განაცხადი** იწვევს სრულად;
  - 1.5.2. მის მიერ **განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი;
  - 1.5.3. **განაცხადის** ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე პირობებს, ტარიფებსა და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს**;
  - 1.5.4. წინამდებარე **პირობებსა** ან ხელშეკრულებაში არ არსებობს გაურკვევლი პუნქტი და ხელშეკრულება განიხილა **ბანკის** შესაბამის წარმომადგენელთან და სრულად მისაღებად მისთვის; და
  - 1.5.5. შესაბამისი ველის მონიშვნის შემთხვევაში თანახმაა **ბანკში** არსებული მისი ნებისმიერი ანაზღაურებადი გამოყენებულ იქნას წინამდებარე **საკრედიტო ლიმიტის** უზრუნველყოფის საშუალებად.

**II. ტერმინთა განმარტებები**

- 2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
  - 2.1.1. **აგრორიზაცია** - თანხმობა საბანკო ოპერაციის განხორციელებასზე;
  - 2.1.2. **ა.შ.შ. დოლარი** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ვალუტა;
  - 2.1.3. **ბანკი** - სს ლიბერთი ბანკი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304;
  - 2.1.4. **დანგარიშების თარიღი** - ყოველი თვის შესაბამისი კალენდარული დღე, როდესაც ხორციელდება **მინიმალური გადასახადის**, ასევე, **ნულოვანი პროცენტის პირობით** სარგებლობის მიზნით განსაზღვრული შენატანის ოდენობის დაანგარიშება. **კლიენტი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, **დანგარიშების თარიღად** აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი თარიღი: (ა) ყოველი კალენდარული თვის ბოლო რიცხვი, ან (ბ) ყოველი კალენდარული თვის 10 (ათი) რიცხვი, ან (გ) ყოველი კალენდარული თვის 20 (ოცი) რიცხვი<sup>1</sup>. **დანგარიშების თარიღის** ცვლილება დაუშვებელია, თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული;
  - 2.1.5. **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი** ან **გადახარჯული თანხა** - **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** შედეგად დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **საკრედიტო ბარათით** რეალურად გახარჯულ თანხას შორის არსებული სხვაობა;
  - 2.1.6. **გადახდის (დაფარვის) პერიოდი** - **დანგარიშების თარიღიდან** მომდევნო ოცდახუთი (25) კალენდარული დღე, როდესაც **კლიენტს** აქვს **მინიმალური გადასახადის** ან/და **ნულოვანი პროცენტის პირობით** სარგებლობისათვის დადგენილი ოდენობის შენატანის განხორციელების, ან/და **მთლიანი დავალიანების** გადახდის ვალდებულება. თუ **გადახდის პერიოდის** ბოლო დღე

<sup>1</sup> წინამდებარე **პირობების** ამოქმედებამდე ემიტირებულ **საკრედიტო ბარათებზე**, **დანგარიშების თარიღად** განისაზღვრება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღე. ამასთან, Instanta Card საკრედიტო ბარათის პირობები, მათ შორის **დანგარიშების თარიღი** რჩება უცვლელად და მასზე სრულად ვრცელდება საკრედიტო ბარათის პირობების 2018 წლის 01 ოქტომბრის რედაქცია.

- ემთხვევა არასაბანკო დღეს, **გადახდის პერიოდი** სრულდება მომდევნო **საბანკო დღეს**;
- 2.1.7. **განაცხადი** ან **საკრედიტო ბარათის განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია საკრედიტო მომსახურების მიღების შესახებ, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი ოურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** - **გადახდის პერიოდის** შემთხვევაში) თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
- 2.1.8. **ვერო** - ვეროკავშირის ზოგერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ვალუტა;
- 2.1.9. **ვადაგადაცილების თარიღი** - **გადახდის პერიოდის** ბოლო დღის მომდევნო დღე, თუ **საკრედიტო ბარათზე** ნებისმიერი სახის დავალიანების არსებობის შემთხვევაში **კლიენტი გადახდის პერიოდში** არ გადაუხდის **ბანკს** სულ მცირე **მინიმალურ გადასახადს**;
- 2.1.10. **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.11. **ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.12. **ვადაგადაცილების დავალიანება** - **კლიენტის სრული დავალიანება** **ბანკის** წინაშე, რომელიც არ არის გადახდილი წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადებში;
- 2.1.13. **კლიენტი** - პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მითითებულია **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზე **ბანკის** თანხმობით სარგებლობს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით ან/და პროდუქტებით;
- 2.1.14. **კლიენტის დეფოლტი** - **ბანკის** მიმართ, **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისა;
- 2.1.15. **ლარი** - საქართველოს ოფიციალური ვალუტა;
- 2.1.16. **ლიბერთი ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;
- 2.1.17. **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობები** - ლიბერთი ანგარიშის მომსახურების **ბანკის** მიერ დადგენილი პირობები, რომელიც **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს;
- 2.1.18. **მინიმალური გადასახადი** - **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით ათვისებული თანხის ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური ოდენობა, რომელიც მოიცავს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ოდენობიდან უმცირესს: ა) **დანგარიშების თარიღის** მდგომარეობით **საკრედიტო ლიმიტის** ათვისებული მოცულობისა და **საკრედიტო ბარათზე** დარიცხული გადასახდელების (ასეთის არსებობისას: წინა **საანგარიშგებო პერიოდში საკრედიტო ლიმიტის** ათვისებულ ოდენობაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხული გადასახდელი პროცენტი, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო) ჯამი; ბ) ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობაზე და განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1. თუ **კლიენტს საკრედიტო ბარათზე** აღნიშნება ვადაგადაცილება, **მინიმალური გადასახადი** მოიცავს როგორც ზემოთ აღნიშნულ გადასახდელებს, ისე განვილილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** გადაუხდელ **მინიმალურ გადასახად(ებ)ს**, მიმდინარე **დანგარიშების თარიღის** დასრულებით დარიცხულ **ვადაგადაცილების ფიქსირებულ პირგასამტეხლოს** (ასეთის არსებობისას), **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტს** და ასევე, განვილილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** წარმოშობილ და დაუფარავ ნებისმიერ სხვა **პირგასამტეხლოს** და გადასახდელს;
- 2.1.19. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ) კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.20. **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანება** ან **მთლიანი დავალიანება** - **დანგარიშების თარიღისათვის საკრედიტო ბარათზე** არსებული **სრული დავალიანება** ან თანხა, რომლის **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** შეტანისას **ანგარიშის** ნაშთი ხდება ნულის ტოლი;
- 2.1.21. **ნულოვანი პროცენტის პირობა** - პირობა, რომლითაც **კლიენტი** უფლებამოსილია უპროცენტოდ ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით** წინა **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: **კლიენტი გადახდის პერიოდის** განმავლობაში სრულად დაფარავს **დანგარიშების თარიღისათვის** ათვისებულ **საკრედიტო ლიმიტის** თანხას. ამასთან, აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც ერთიანად, ისე ნაწილ-ნაწილ. თუ **კლიენტი** ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით**, მას (**კლიენტს**), ასევე, არ დაერიცხება ყოველთვიური მომსახურების საკომისიო განვილილ **საანგარიშგებო პერიოდზე**. **ბანკს** აქვს უფლება არ გაავრცელოს

წულოვანი პროცენტის პირობა საკრედიტო ბარათის კონკრეტულ სახეობებზე, თუ აღნიშნული მოცემულია წინამდებარე პირობების დანართი #1, ან საკრედიტო ბარათის პირობების 2018 წლის 01 ოქტომბრის რედაქციის დანართი #1.

2.1.22. პირგასამტეხლო - ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო, საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო ან/და პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირგასამტეხლო ან/და საჯარიმო სანქცია;

2.1.23. საანგარიშგებო პერიოდი - დაანგარიშების თარიღებს შორის დროის მონაკვეთი;

2.1.24. საბანკო პლასტიკური ბარათი ან საბანკო ბარათი ან პლასტიკური ბარათი - ბანკის მიერ კლიენტზე ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემული საერთაშორისო (VISA, MasterCard ან CUP) ან ლოკალური (PAY) პერსონიფიცირებული (ბარათზე ამოტვიფრული კლიენტის სახელი და გვარით) ან არაპერსონიფიცირებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელიც სარგებლობის და რომლის უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება ლიბერთი ანგარიშის და PAY ანგარიშის მომსახურების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.1.25. საბანკო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

2.1.26. საკრედიტო ბარათი - ბანკის მიერ კლიენტისათვის დამზადებული Magic Card საკრედიტო ბარათი, განვადების ბარათი „შოპინგ ქარდი“, მასწავლებლის საკრედიტო ბარათი, Instanta Card ან/და სხვა სახის საკრედიტო ბარათი(ები), რომელიც შესაძლებელია ბანკმა დრო და დრო გამოუმუშავოს და შესთავაზოს კლიენტებს და რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი. საკრედიტო ბარათი შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი;

2.1.27. საკრედიტო ბარათის გაუქმება - საკრედიტო ბარათის მოქმედების შეწყვეტა;

2.1.28. საკრედიტო ბარათის დეფოლტი - კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება ვადაგადაცილების თარიღიდან სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი) დღე მაინც და წარმოშობს ბანკის უფლებას საკრედიტო ბარათის და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტაზე;

2.1.29. საკრედიტო ლიმიტი - თანხის მქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ბანკის მიერ საკრედიტო ბარათზე დაშვებული საკრედიტო რესურსით;

2.1.30. საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება - საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის უფლების შეჩერება;

2.1.31. საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა - საკრედიტო ბარათზე დაშვებული ლიმიტის ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის ნებისმიერი სახით გამოყენება;

2.1.32. საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო ან გადახარჯვის პირგასამტეხლო - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართი #1;

2.1.33. საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა - 48 (ორმოცდარვა) თვე საკრედიტო ბარათის გაცემის ან საკრედიტო ლიმიტის ბანკის მიერ გადახედვის თარიღიდან, თუ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული.

2.1.34. საპროცენტო განაკვეთი ან პროცენტი - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართი #1;

2.1.35. სრული დავალიანება - კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათის სარგებლობასთან დაკავშირებული ბანკის წინაშე წარმოქმნილი კლიენტის ვალდებულებათა ერთობლიობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ძირითად თანხას, მასზე დაბეგრულ პროცენტს, პირგასამტეხლოსა და საკომისიოს (მათი არსებობის შემთხვევაში);

2.1.36. VISA P2P / MasterCard MoneySend სერვისი - VISA / MasterCard საერთაშორისო საგადახდელო სისტემაში ჩართული ერთი საბანკო ბარათიდან მეორე საბანკო ბარათზე თანხის გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის მეშვეობით.

2.1.37. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი ან 3D უსაფრთხოება - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA და MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდელო სისტემაში ჩართული ბარათით ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხო შესრულება;

2.1.38. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია - საბანკო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის MCC-7995 კოდის მქონე სავაჭრო ობიექტებში (საერთაშორისო საგადახდელო სისტემების Visa, MasterCard და ა.შ. სავაჭრო ობიექტის კლასიფიკატორი) განხორციელებულ გარიგებებს, ბარათის გამოყენებით კაზინოში

ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შექმნას და სხვა ოპერაციებს. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მოწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

3. კლიენტის განცხადებები

3.1. კლიენტი საკრედიტო ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით ან/და პირობებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. კლიენტს აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და განაცხადებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. კლიენტის მიერ ბანკისათვის განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარგულირებული ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.4. კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ეშუქება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობაზე;

3.1.5. კლიენტი არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმს ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).

3.1.6. მხარეთა შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.

3.3. კლიენტი ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

4. საკრედიტო ლიმიტი

4.1. განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საკრედიტო ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შევსებით კლიენტი დასტურებს თავის ნებას მიიღოს საკრედიტო ბარათი და მასზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი.

კლიენტს არ დაერიცხება მხოლოდ პროცენტი, ხოლო ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს გადახდის ვალდებულებისგან კლიენტი არ გათავისუფლდება.

<sup>4</sup> წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე ემიტირებული საკრედიტო ბარათებისთვის საკრედიტო ბარათის დეფოლტი განისაზღვრება როგორც კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან

წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება ვადაგადაცილების თარიღიდან სულ მცირე 60 (სამოცი) დღე მაინც და წარმოშობს ბანკის უფლებას საკრედიტო ბარათის და პირობებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტაზე.



- 4.2. კლიენტის მიერ განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსება და ხელმოწერა ან/და საკრედიტო ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს ბანკს უპირობოდ გაუწიოს კლიენტს წინამდებარე პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 4.3. საკრედიტო ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, მათ შორის კლიენტის მიერ განაცხადში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფიქსირებული მოთხოვნის გათვალისწინებით.
- 4.4. საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტი მტკიცდება საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადით. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ლიმიტი უზრუნველყოფილია ანაბრით, მისი მოქმედების ვადა შესაძლებელია შეწყდეს ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო დღეს ან მისი (ანაბრის) ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღზე. მიუხედავად წინამდებარე პუნქტის დებულებებისა, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ნებისმიერი სხვა ვადა.
- 4.5. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდა ან შემცირება, მაგრამ ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.6. თუ კლიენტი საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით არ მოითხოვს საკრედიტო ლიმიტის შეწყვეტას (და შესაბამისად საკრედიტო ბარათის გაუქმებას), ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ლიმიტის მოქმედების თითოეული ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ გადახედოს კლიენტის საკრედიტო ბარათის ლიმიტს და დამტკიცოს (ან არ დამტკიცოს) ის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების მომდევნო ვადით<sup>5</sup>.
- 4.7. ბანკი უფლებამოსილია, რომ კლიენტის მოთხოვნის ან ბანკის მიერ მისთვის ყოველგვარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს კლიენტის საკრედიტო ლიმიტი, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.8. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ანაბრის თანხიდან, იმ შემთხვევაში თუ ანაბრით უზრუნველყოფილი საკრედიტო ლიმიტით მოსარგებლე კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს.
- 4.9. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი საკრედიტო ლიმიტის გადახედვის შედეგად შეუმცირებს კლიენტს საკრედიტო ლიმიტს და შედეგად კლიენტის მიერ ათვისებული თანხა გადააჭარბებს ახლად დამტკიცებულ შემცირებულ საკრედიტო ლიმიტს, კლიენტი ვალდებული იქნება დაფაროს წარმოშობილი სხვაობა მისი (სხვაობის) წარმოშობიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

**5. პროცენტის და სხვა გადასახდელი ვალდებულებების დარიცხვა**

- 5.1. თუ კლიენტი არ ისარგებლებს ნულოვანი პროცენტის პირობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დაარიცხოს განვლილი საანგარიშგებო პერიოდის(ებ)ის კუთვნილი პროცენტი, რომლის გადახდის ვალდებულებაც კლიენტს ეკისრება მომდევნო გადახდის პერიოდში.
- 5.2. პროცენტი ერიცხება საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის ძირს და ანგარიშზეა კრედიტით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით.
- 5.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის ძირზე და გადახარჯულ თანხაზე.
- 5.4. ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას პროცენტი, ისევე როგორც საკრედიტო ბარათზე რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი დაანგარიშების თარიღის შემდგომ ნებისმიერ დროს.
- 5.5. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ერთჯერადად ან მრავალჯერადად, თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს საკრედიტო ბარათზე სხვადასხვა შეღავათიანი პირობა.

**6. საკრედიტო ბარათით განხარჯული თანხის გადახდა**

- 6.1. საკრედიტო ლიმიტის სრულად ან ნაწილობრივ ათვისების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ყოველთვიურად გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს სულ მცირე საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დარიცხული მინიმალური გადასახადი (ასევე, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო იმ საკრედიტო ბარათებისთვის, რომელთა შემთხვევაში მინიმალური გადასახადი არ მოიცავს ასეთ ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს).
- 6.2. საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი სხვა გადასახდელი(ებ)ის გადახდა განხორციელდება საკრედიტო ბარათზე თანხის ბანკის საგადახდო არხების (მათ შორის ბანკის სალაროს) საშუალებით შეტანის ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩარიცხვის გზით.

<sup>5</sup> წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე ემიტირებულ ყველა საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის პირველივე ჯერზე გაგრძელების შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას, საკრედიტო ბარათზე გააგრძელოს საკრედიტო ლიმიტის მოქმედების გაგრძელების

- 6.3. ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი თანხების საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დროულად ასახვისათვის. ნებისმიერი შეფერხებისათვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კლიენტის საკრედიტო ანგარიშზე თანხის ასახვის დაგვიანება პასუხს აგებს კლიენტი, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, კლიენტის ვალდებულებას გადაიხადოს ასეთი შეფერხების შედეგად მის ანგარიშზე დარიცხული სრული დავალიანება ან ბანკის მიერ დადგენილი მისი რაიმე ნაწილი.
- 6.4. საკრედიტო ბარათიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვისას საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული გადასახდელიდან პირველ რიგში იფარება ბანკის ხარჯები, შემდგომ გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო (ამასთან, პირველ რიგში იფარება საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო), შემდგომ პროცენტი (ამასთან, პირველ რიგში იფარება დარიცხული გადაუხდელი პროცენტი) და ბოლოს დავალიანების ძირი თანხა (პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებული ძირი თანხა). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვროს გადახდის სხვა თანმიმდევრობა.
- 6.5. კლიენტი აცხადებს თანხმობას, ბანკის სრულ უფლებამოსილებებზე:
- 6.5.1. ბანკმა, საკუთარი არჩევანით, კლიენტისაგან მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში დაფაროს სრული დავალიანება ან მისი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან
- 6.5.2. ბანკმა, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს სრული დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვა, თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); კლიენტის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით სრული დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც დაიფარება/შემცირდება ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ამ ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.
- 6.6. კლიენტს არ დაერიცხება პროცენტი და ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (დამოკიდებულია საკრედიტო ბარათის სახეობაზე) საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებულ თანხაზე თუ კლიენტი ისარგებლებს ნულოვანი პროცენტის პირობით ნულოვანი პროცენტის პირობა არ ვრცელდება გადახარჯულ თანხაზე.
- 6.7. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაუხადოს ბანკს საკრედიტო ბარათის ანგარიშზე წარმოქმნილ მინიმალურ გადასახადზე მეტი.
- 6.8. მინიმალური გადასახადის გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება და კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფებით დადგენილი ოდენობით.
- 6.9. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი პირგასამტეხლოს სრულად გადახდა და კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მოთხოვნილი თანხები.

**7. ვადაგადაცილება და სანქციები**

- 7.1. კლიენტი ვალდებულია, რომ წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში გადაიხადოს საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული დავალიანებები/გადასახდელი.
- 7.2. კლიენტი ვალდებულია, რომ საკრედიტო ბარათი განკარგოს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში და არ განახორციელოს საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა. ბანკის თანხმობის გარეშე საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვისათვის ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფების შესაბამისად, რაც ბანკის მიერ დადგენილ ვადაში უნდა იქნას გადახდილი კლიენტის მიერ.
- 7.3. საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის შემთხვევაში კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს გადახარჯული თანხა სრულად.
- 7.4. გადახდის პერიოდის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობისას ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს საკრედიტო ბარათი და დააკისროს კლიენტს შესაბამისი პირგასამტეხლო (წინამდებარე პირობების დანართი #1-ის შესაბამისად). კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ, კლიენტს მიეცემა შესაძლებლობა კვლავ ისარგებლოს საკრედიტო ლიმიტით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვადაგადაცილება გრძელდებოდა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, შეაჩეროს/შეწყვიტოს საკრედიტო ბარათის მოქმედება და მოსთხოვოს კლიენტს ბანკის წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვა.
- 7.5. თუ საკრედიტო ლიმიტის ვადის განმავლობაში კლიენტს აღენიშნება 90 კალენდარული დღე (ან 60 კალენდარული დღე საკრედიტო ბარათის სახეობიდან

თარიღისათვის მოქმედი პირობები, მათ შორის პირობების დანართი #1 განსაზღვრული ტარიფები.

გამომდინარე) ან მეტი ვადაგადაცილება, **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება და მოითხოვოს **კლიენტისაგან საკრედიტო ბარათიდან** ათვისებული თანხის, მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტებლოსთან** და საკომისიოებთან ერთად, დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.6. **საკრედიტო ბარათის დეფოლტის** შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, გააუქმოს **საკრედიტო ბარათი**. **საკრედიტო ბარათის** გაუქმება იწვევს ამ **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტას.

7.7. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს **საკრედიტო ბარათი**, შემადგენელ **საკრედიტო ლიმიტი**, მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტებლოსთან** და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება**, თუ: ა) **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს**; ან ბ) გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან გ) **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია.

7.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე გააუქმოს **საკრედიტო ლიმიტი**, თუ ნებისმიერ 30 (ოცდაათი) დღიან (კალენდარული დღეები) ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადეპოზო ბრუნვა). **საკრედიტო ლიმიტის** გაუქმების შემთხვევაში **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** **საკრედიტო ლიმიტის** აღდგენის მოთხოვნით. **საკრედიტო ლიმიტის** აღდგენა წარმოადგენს **ბანკის** უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, შესაბამისად ის ხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესით.

7.9. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** ბლოკირების, გაუქმების ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ყოველგვარი დავალიანება. **ბანკი** უფლებამოსილია ასეთი დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.10. **კლიენტის დეფოლტის** შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) მოთხოვოს **კლიენტი** გახარჯული **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში სრულად დაფარვა; (ბ) დააკისროს წინამდებარე **პირობებით** დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი სანქცია; ან/და (გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

**8. ნებადართული ოპერაციები**

8.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განხორციელოს მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

- 8.1.1. საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ), ინტერნეტით და სხვა დისტანციური არს(ებ)ის მეშვეობით;
- 8.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის მეშვეობით;
- 8.1.3. კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა ბანკომატისა და ინტერნეტის მეშვეობით;
- 8.1.4. **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან სალაროში შეტანის გზით განთავსება;
- 8.1.5. VISA / MasterCard **საკრედიტო ბარათიდან** სხვა VISA / MasterCard ბარათზე გადარიცხვა **VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისის** მეშვეობით;
- 8.1.6. არსებული საკრედიტო ბალანსის ან/და ხელმისაწვდომი ნაშთის შემოწმება;
- 8.1.7. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციის ჩატარება.

8.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ან/და შეცვალოს **საკრედიტო ბარათის** ფუნქციონალი, რამაც შესაძლებელია გაფართოვოს ან შეზღუდოს წინამდებარე დოკუმენტის 8.1. ქვე-პუნქტში ჩამოთვლილი ოპერაციების სახეობები (მათ შორის და არამარტო შეუძლებელი გახადოს ბანკომატზე ან/და პოს ტერმინალში თანხის განაღდება მოცემული ტიპის **საკრედიტო ბარათიდან**).

**9. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი**

9.1. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია

უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისების სახით.

9.2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გასააქტიურებლად **ბარათის** უფლებამოსილმა მფლობელმა **ბანკის** ფლიალზე და სერვის ცენტრებში უნდა შეავსოს შესაბამისი **განაცხადი** და გაიაროს სათანადო რეგისტრაცია.

9.3. **3D უსაფრთხოების** გასააქტიურებლად **ბარათის** უფლებამოსილ მფლობელს სავალდებულო წესით უნდა ჰქონდეს აქტიური სმს ბანკის მომსახურება, რა შემთხვევაშიც აღნიშნული მომსახურების ფარგლებში დარეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომერზე განხორციელდება **3D უსაფრთხოების ერთჯერადი სმს ცერეფონის კოდის** გაგზავნა ბარათით ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას.

9.4. განაცხადში მითითებული მონაცემების **ბანკისათვის** არასრულად ან/და არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **უსაფრთხოების მფლობელს ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** რეგისტრაციაზე / გააქტიურებაზე.

9.5. უფლებამოსილი მფლობელისათვის **3D უსაფრთხოების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელი იქნება **ბანკში განაცხადის** წარდგენის მომდევნო საბანკო დღიდან. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით ავტომატურად მოახდინოს **ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების** ჩართვა (მათ შორის **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელის მიერ უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს) ან/და აგრეთვე **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** შეწყვეტა.

9.6. **3D უსაფრთხოების** გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელებლად აუცილებელია **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი** დარწმუნდეს მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა) მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს **ბანკის** და „Verified by Visa“ ან „MasterCard SecureCode“-ის ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ-გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.

9.7. **ტრანზაქციების** განსახორციელებლად **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელის მიერ გამოსაყენებელი ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი დინამიურია და იგზავნება მომენტალურად საბანკო ბარათით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს ბანკში საბანკო ბარათის მფლობელზე დარეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე.

9.8. **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი** პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად **ბანკი** ან/და VISA / MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდელო სისტემა არ არიან პასუხისმგებელი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.

9.9. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე / ზარალზე, აგრეთვე მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ზარებებზე.

9.10. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობას.

9.11. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **3D უსაფრთხოების** სერვისით, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს **ბანკის** სისტემის ან **3D უსაფრთხოების** სერვისის შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, **3D უსაფრთხოების** სერვისი შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მერჩანტების ვებ-გვერდებზე).

9.12. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან/და შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **3D უსაფრთხოების** სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობა. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს**. **ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს 3D უსაფრთხოების** სერვისით სარგებლობა. **3D უსაფრთხოების** სერვისის შეჩერების ან/და შეზღუდვის შემთხვევაში მომსახურების შეჩერებამდე / შეზღუდვამდე არსებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია **კლიენტი**.

9.13. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:

- 9.13.1. **3D უსაფრთხოების** სერვისით (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
- 9.13.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;



- 9.13.3. ბარათის უფლებამოსილი მფლობელის ტექნიკური საშუალებები გააჩნიათ პროგრამული ვირუსი;
- 9.13.4. კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, ერთჯერადი სსს ვერიფიკაციის კოდი) არავებორიზებულია იქნა გამოყენებული;
- 9.13.5. ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ).
- 9.14. კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ბანკისაგან 3D უსაფრთხოების სერვისის გაუქმება ბანკის ფილიალში/სერვის ცენტრში განაცხადის წარდგენის გზით.

10. საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები

- 10.1. საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები (ასევე მათი გადახდის პირობები) განისაზღვრება დანართით #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებისა და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 10.2. საკრედიტო ბარათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა მოხდება იმისდა მიუხედავად, საკრედიტო ბარათის ანგარიშზე განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია. საკრედიტო ბარათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა საკრედიტო ბარათის ანგარიშიდან ბანკის მიერ ხდება უაქცეპტო წესით, კლიენტის მიერ განხორციელებული გადახდების თანხიდან, დანაგარიშების თარიღის შემდგომ ნებისმიერ დროს.
- 10.3. საკრედიტო ბარათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დანაგარიშება საანგარიშო თევში ბარათის გამოყენების ფაქტური კალენდარული დღეების მიხედვით არ ხდება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საკრედიტო ბარათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება მთლიანი მოცულობით დამოუკიდებლად იმისა თუ რამდენი კალენდარული დღის განმავლობაში მოცემულ საანგარიშო თევში სარგებლობდა კლიენტი საკრედიტო ბარათით.
- 10.4. საკრედიტო ბარათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს და მისი (ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს) გათვალისწინება ხორციელდება კლიენტის მიერ გადასახდელ მინიმალურ / მთლიან გადასახადში, თუ პირობებით ხდება რამ არ არის განსაზღვრული.
- 10.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დაარიცხოს ტარიფების შესაბამისად განსაზღვრული პროცენტი, მომსახურების საკომისიო, გადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, სხვა საჯარიმო სანქცია და ნებისმიერი გადასახდელი.
- 10.6. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს დანართით #1 განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების ტარიფი (მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი), რის შესახებაც არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა მოახდინოს კლიენტის ინფორმირება პრესაში, ტელევიზიაში, საკუთარ ვებ-გვერდზე, ბანკის სრულყოფილ ერთეულში განცხადების განთავსების გზით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ბანკომატების ქსელის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნით. თუ კლიენტი არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, იგი ვალდებულია მათ ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს და სრულად მოახდინოს არსებული დავალიანების დაფარვა და საკრედიტო ბარათის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

11. საკრედიტო ლიმიტის ვალუტა

- 11.1. საკრედიტო ლიმიტის ვალუტა არის ლარი.
- 11.2. თუ კლიენტი რაიმე ტრანზაქციას განხორციელებს საკრედიტო ლიმიტის ვალუტის გარდა ნებისმიერ სხვა ვალუტაში, ტრანზაქციის განსახორციელებლად საჭირო თანხები კონვერტირებული იქნება საკრედიტო ლიმიტის ვალუტაში. კონვერტაცია მოხდება ბანკის მიერ ტრანზაქციის ბანკის ელექტრონულ სისტემაში გატარების თარიღისათვის არსებული კურსით, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს კლიენტის მიერ ტრანზაქციის განხორციელების თარიღის კურსისაგან.
- 11.3. საკრედიტო ბარათით ჩატარებული ოპერაციები ლარში აისახება კლიენტის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე ლარშივე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის (ოპერაცია) ჩატარდა საქართველოში. თუ ოპერაცია ლარში ჩატარდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ის აისახება საკრედიტო ბარათის ანგარიშზე იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც ბანკს მოუწევს აღნიშნული ოპერაციის საერთაშორისო ანგარიშსწორება (ასეთი ვალუტა შეიძლება იყოს ა.შ.შ. დოლარი, ევრო ან გირვანქა სტერლინგი - დამოკიდებული იმ ქვეყანაზე, სადაც კლიენტმა განხორციელა საბარათო ოპერაცია ლარში);
- 11.4. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ნებისმიერ საკრედიტო ლიმიტის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციების მიმართ ბანკი გამოიყენებს თავის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.
- 11.5. კლიენტი თანახმაა, რომ ნებისმიერი ცვლილება გაცვლით კურსში ტრანზაქციის მიმართ გამოიყენება დაუყოვნებლივ, კლიენტისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. განახლებული გაცვლითი კურსი იქნება გამოყენებული შესაბამისი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხების კონვერტაციისას. ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხის კონვერტაციისას გამოყენებული გაცვლითი კურსი შესაძლოა არ დაემთხვეს ასეთი ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებულ კურსს, რადგან თანხის

კონვერტაციისას გამოიყენება იმ დღის გაცვლითი კურსი, როდესაც ტრანზაქცია გატარდება ბანკის ელექტრონულ სისტემაში.

12. პასუხისმგებლობა

- 12.1. ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი პასუხისმგებელი და ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის პერიოდის ბოლო დღისა გადაუხადოს ბანკს თავის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე რიცხული შემდეგი დავალიანებები:
  - 12.1.1. კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ კლიენტის საკრედიტო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანება, მაშინაც კი თუ ბარათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იქნება გაუქმებული და ხელშეკრულება შეწყვეტილი;
  - 12.1.2. ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული ოპერაციის(ებ)ისათვის, თუ კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ნებას დართავს ასეთ პირს განხორციელოს ტრანზაქცია;
  - 12.1.3. კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებულ ტრანზაქციებზე;
  - 12.1.4. კლიენტის ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ნებისმიერი მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ასეთი პირის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საკრედიტო ბარათის, მისი ნებისმიერი ნომრის ან კოდის მოპარვის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს.

13. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ

- 13.1. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტაცია კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.
- 13.2. თუ კლიენტი ბანკის მიერ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს ბანკის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, ბანკი უფლებამოსილია განხორციელოს კლიენტის საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება ან/და გააუქმოს კლიენტის საკრედიტო ბარათი და მოითხოვოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის მის მიერვე დადგენილ ვადებში დაფარვა.

14. თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა

- 14.1. კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებაზე საკრედიტო ბარათის გადახდის დღეს მის (კლიენტის) მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან, მისი (კლიენტის) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივად დასაფარავად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული ან საკრედიტო ლიმიტის თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განხორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკში დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება კლიენტს ანგარიშიდან. კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის წინამდებარე ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ უფლებაზე საკრედიტო ბარათის გადახდის დღის შემდგომ პერიოდზე, იმ შემთხვევაში თუ გადახდის დღეს მის (კლიენტის) ანგარიშზე არ ირიცხებოდა ბანკის წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად აუცილებელი ხელმისაწვდომი ნაშთი.
- 14.2. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ან/და მისი (კლიენტის) თავდები პირის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
- 14.3. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას ბანკში ამავდროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი სესხი, ბანკი უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშზე რიცხული დავალიანების თანხა დაფაროს უზრუნველყოფილი სესხის თანხიდან. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც ბანკი მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და პირობების სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის სესხის ხელშეკრულება(ებ)ში და ბანკი უფლებამოსილი იქნება საკრედიტო ბარათის დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი სესხის მეშვეობით.

15. დამატებითი ბარათები

- 15.1. კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს ბანკს სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს კლიენტის მიერ მითითებულ პირ(ებს).
- 15.2. დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს კლიენტის საკრედიტო ლიმიტით და ამ ბარათ(ებ)ზე სრულად

ვრცელდება **საკრედიტო ბარათით** მომსახურების წინამდებარე პირობები და ხელშეკრულება.

15.3. **კლიენტი** ვალდებულია სრულად გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს წინამდებარე პირობები.

15.4. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და თანხების დაბრუნებაზე პასუხს აგებს **კლიენტი**.

15.5. დამატებითი ბარათის მეშვეობით წარმოებულ საბანკო ოპერაციების შედეგად თანხების ბრუნვა აისახება **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი დამატებითი ბარათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 (სამი) ბარათს თითოეული **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე.

15.6. **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას **კლიენტს** დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადებასა და ნებისმიერი მესამე პირისათვის გადაცემაზე, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

**16. ავტორიზაცია**

16.1. **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით გადახდის დასრულებამდე მოითხოვოს თავის მხრივ საბანკო ოპერაციის წინასწარი **ავტორიზაცია**.

16.2. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციის **ავტორიზაციაზე**, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა **კლიენტს საკრედიტო ლიმიტის** ვადაგადაცილება. აღნიშნული შეზღუდვის გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური სირთულეების, თანხის დატაცების თავიდან აცილების ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მიზეზის გამო. **კლიენტი** თანახმა ასეთ შეზღუდვაზე და პრეტენზიას არ გამოთქვამს **ბანკის** მიერ ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

**17. შედგავთაანი პირობები და წამახალისებელი აქციები**

17.1. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **საკრედიტო ბარათის** პროდუქტთან მიმართებაში **კლიენტისათვის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს წამახალისებელი აქციები, **საკრედიტო ბარათის** პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისათვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შედგავთაანი პირობების დაწესებით. **კლიენტის** მიერ ასეთი წამახალისებელი აქციების დროს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობა გაულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.

17.2. **ბანკი** იტოვებს უფლებას გამოიყენოს **კლიენტის** ფოტოსურათი, სახელი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები თავისი ნებისმიერი მარკეტინგული მასალების მიზნებისათვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის სარეკლამო კამპანიას, პრომო აქციებს და ა.შ., რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

**18. შეტყობინების ვალდებულება**

18.1. **ბანკი** უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პერიოდულობით **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა საშუალებით აცნობოს **კლიენტს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე არსებული დავალიანების შესახებ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებაზე და ასეთი შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელის დასახდის ვალდებულებისგან. **კლიენტი** ვალდებულია **მინიმალური გადასახდელი** თანხის შესახებ ნებისმიერი მიზეზით **ბანკისგან** შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს **ბანკს** და მოითხოვოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე და **სრული დავალიანების** ოდენობისა და ვადების შესახებ.

18.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს საკრედიტო ბარათის განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

**19. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია**

19.1. **ინფორმაციის დამუშავება**. **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შორის: შეტყობინებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

19.2. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტიურობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ეკლში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქტის არჩევანის სისიმიროს ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

19.3. **კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება**. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებს)** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

19.4. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** შესაკუთრებ **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებს)** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

19.5. **ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა**. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

19.5.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სისპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისათვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

19.5.2. მიიღოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ სს "კრედიტინფო საქართველოს" ს/კ 204470740 (შემდგომში - **კრედიტინფო**) საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში და ასევე **კლიენტთან** დამატებითი შეთანხმების გარეშე **კლიენტის**, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებამდე 30 (ოცდაათი) დღის ვადაში შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში, ხოლო 60 (სამოცი) დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადასცეს **კრედიტინფოს**, რაც იწვევს **კლიენტის** აღრიცხვას **კრედიტინფოს** საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შესრულებული/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შესახებ მონაცემებისთვის. **კრედიტინფოს**, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს, უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს **მესამე** პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.

19.5.3. **კლიენტის** კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, შეთავაზებისა და სხვა კანონიერი მიზნით, მიზეზების რაოდენობის შეზღუდვადაც, მიიღოს **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია საკრედიტო სისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე, გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია **კრედიტინფოს**, **კლიენტის** საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ.

19.5.4. **კრედიტინფოსთვის** გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე **კლიენტის** აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.

19.5.5. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადაც მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებს), მაკონტროლებელ/სახედასმედელო ორგანიზებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს, **კლიენტის** ოჯახის წევრებს, **კლიენტის** ტრანზაქციებში მითითებულ პირებს, **კლიენტის** მიერ **ბანკში** მითითებულ სხვა ნებისმიერ პირს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

19.6. **პირდაპირი მარკეტინგი**. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელებდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნას,



მანამ სანამ **ბანკი კლიენტისაგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

19.7. **საკრედიტო უფლებები.** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე სააკრედიტო ქონებრივ უფლებებს.

19.8. **მონაცემების განახლება და შენახვის ვადა.** **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერში, **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წამლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

19.9. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **კლიენტს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

**20. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

20.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

20.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ **პირობებს** ან ამ **პირობების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

20.3. თუ **მხარეები** შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანახმა არიან, შეიტანონ საჩივარი სასამართლოში **ბანკის** იურდიული მისამართის შესაბამისად.

**21. დასკვნითი დებულებები**

21.1. **უფლებამოსილებათა გადაცემა.** **ბანკის** წინასწარი შეტყობინების გარეშე **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

21.2. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** გამოიყენებს 20.1. პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, **კლიენტი** თანხმობას აძლევს რომ **ბანკს** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას **კლიენტის** კანონის მიერ უფლებებზე.

21.3. **ხელშეკრულების პირობების დამოუკიდებლობა.** თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი ან შეწყვეტილი პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

21.4. **სათაურები და განმარტება.** წინამდებარე **პირობებში** აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისათვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

21.5. **საკრედიტო ბარათის მოქმედების შეწყვეტა.** უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუკი წარმოიქმნება ეჭვის საფუძველი, რომ **საკრედიტო ბარათი** შეიძლება გამოყენებულ იქნას არასანქცირებულად ან/და თადლითურად, ასევე თუკი **ბანკს** მიაჩნია, რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს საკრედიტო დავალიანების სრულად ან/და დროულ დაფარვას, **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შეწყვიტოს **საკრედიტო**

**ბარათის** მოქმედება. ასეთ შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ.

21.6. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** 20.5. ქვეპუნქტში მითითებული უფლების გამოყენება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას ვიდრე **კლიენტი** სრულად არ დაფარავს თავის საკრედიტო დავალიანებას, იგი გაგრძელებულად ითვლება იგივე პირობებით და **კლიენტი** ვალდებულია სრულად შეასრულოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი ვალდებულება.

21.7. **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეწყვიტოს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება აღადგინოს თუკი წინამდებარე **პირობების** 20.5. ქვეპუნქტში აღნიშნული შეწყვეტის საფუძველები აღარ იარსებებს და **კლიენტის** მიერ მოწოდებული იქნება ინფორმაცია აღნიშნული შეწყვეტის საფუძველების არარსებობის შესახებ.

21.8. **საკრედიტო ბარათის პირობების ცვლილება და შეტყობინებები.** **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ **პირობების** ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს **კლიენტს** **ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ) მეშვეობით.

21.9. **კლიენტის** მიერ **ბანკიდან** ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

21.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც **კლიენტის** მიერ წინასწარ არის მითითებული.

21.11. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება **ბანკის** მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

21.12. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

21.13. **უფლებების გამოყენებლობა.** **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული უფლებ(ებ)ის გამოყენებლობა არ გულისხმობს ამგვარ უფლებებზე ან/და მათ შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმას.

21.14. ყველა დანარჩენი საკითხი რაც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე **პირობებით** რეგულირდება **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობების** შესაბამისად.

21.15. **ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი.** **კლიენტი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალის ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან/და ელ-ფოსტა [ConsumerProtection@lb.ge](mailto:ConsumerProtection@lb.ge) საშუალებით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

21.16. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთ) თვეს.

21.17. **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით.

21.18. **ხელშეკრულების შეწყვეტა.** **კლიენტი** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ სრულად გადაიხდის **საკრედიტო ლიბიტის** ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და ასევე **პირგასამტეხლოებს.** ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც **კლიენტი** სრულად დაფარავს დავალიანებას და დაუბრუნებს **ბანკს** **საკრედიტო ბარათს** და ყველა დამატებით ბარათს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 21.19. **ბანკს** უფლება აქვს შეტყობინების გაგზავნის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. **ბანკის** მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს** პასუხისმგებლობისგან შესრულოს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიბიტის** ძირითადი თანხის, მასზე დარიცხულ სარგებლისა და **პირგასამტეხლოების** გადახდას.

21.20. **ბანკის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება სრულად.

21.21. **ბანკს** უფლება აქვს **კლიენტთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ჩათვლის საჭიროდ, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება ან/და არ მისცეს ავტორიზება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათით** განხორციელებულ ოპერაციებს, რაზედაც **ბანკი** არ აცხადებს პასუხს. **ბანკის** მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება არ წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას და არ ათავისუფლებს **კლიენტს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები<sup>6</sup>

ძირითადი ბარათი / დამატებითი ბარათი:		
ბარათის მოქმედების ვადა:	Visa Classic payWave / MasterCard Standard PayPass - 4 (ოთხი) წელი	
ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება:	უფასო	
ბარათის / საკრედიტო ლიმიტის ვალუტა:	ლარი	
დამატებითი ბარათის დამზადების ღირებულება:	20.00 ლარი	
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო - ვრცელდება მხოლოდ ძირითად ბარათზე:	3.00 ლარი	
დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო:	20.00 ლარი	
საკრედიტო ლიმიტის პირობები:		
საკრედიტო ლიმიტის მოცულობა:	1 000 – 5 000 ლარი (1 000 ლარიანი ბიჯებით)	
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის მოცულობაზე დამოკიდებული ყოველთვიური ფიქსირებული თანხა <sup>7</sup> :	ლიმიტი	ფიქსირებული თანხა
	1000	50
	2000	100
	3000	150
	4000	200
	5000	250
საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიო:	არ არის გათვალისწინებული	
წლიური საპროცენტო განაკვეთი:	33.00%	
ბარათიდან თანხის განაღდებას საკომისიო:		
ლიბერტი ბანკის სერვის ცენტრებში და ნებისმიერი ბანკის ბანკომატებში:	3.00% მინიმუმ 3.00 ლარი	
ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა:		
საქართველოში:	უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციების გარდა	

<sup>6</sup> წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე ემიტირებულ საკრედიტო ბარათზე გავრცელდება საკრედიტო ბარათის პირობების 2018 წლის 01 ოქტომბრის რედაქციით განსაზღვრული ტარიფები გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, როგორც წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე, ისე შემდგომში ემიტირებულ (ასეთის არსებობისას) Instanta Card საკრედიტო ბარათზე სრულად გავრცელდება საკრედიტო ბარათის პირობების 2018 წლის 01 ოქტომბრის რედაქცია.

<sup>7</sup> წინამდებარე პირობების ამოქმედებამდე ემიტირებული საკრედიტო ბარათისათვის ყოველთვიური ფიქსირებული თანხა (მინიმალურ გადასახადში შემავალი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის ნაწილი) შეადგენს საკრედიტო ლიმიტის 5 (ხუთი) პროცენტს.

საკრედიტო ბარათის პირობები

საზღვარგარეთ:	უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციების გარდა
ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი <sup>8</sup> (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია:	4.00% მინიმუმ 5.00 ლარი
<b>ბარათის გამოყენების დღიური ლიმიტები:</b>	
განაღების ოპერაციები:	2,000 ლარი
გადახდის ოპერაციები:	5,000 ლარი
<b>ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვა - VISA Direct/ MasterCard MoneySend სერვისი</b>	
ლიბერთი ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	3.00% მინიმუმ 4.00 ლარი
სხვა ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	4.00% მინიმუმ 5.00 ლარი
<b>საჯარიმო სანქციები</b>	
ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო:	არ არის გათვალისწინებული;
ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი:	კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო (ერთჯერადი):	არ არის გათვალისწინებული;
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო:	კლიენტის მიერ საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის წლიური 48.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე
<b>სხვა პირობები</b>	
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა:	უფასო
ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა:	80.00 ლარი
PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით:	2.00 ლარი

<sup>8</sup> ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია - საბანკო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის MCC-7995 კოდის მქონე სავაჭრო ობიექტებში (საერთაშორისო საგადახდელი სისტემების Visa, MasterCard და ა.შ. სავაჭრო ობიექტის კლასიფიკატორი) განხორციელებულ გარიგებებს, ბარათის გამოყენებით კაზინოში ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შეძენას და სხვა ოპერაციებს. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.